პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ხუთშაბათი 10 სექტემბერი № 209 (18151) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ᲝᲒᲝᲠᲪ მდინარე წარმოიშობა ნაკადულებისაგან, ისე ჩვენი საერთო წარმატებებიც, წლევანდელი და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის შედეგები ყალიბდება თითოეული ადამიანის, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური შრომისაგან. ახლა მთავარია კოლექტივებმა, რაიონებმა, ქალაქებმა, ოლქებმა და რესპუბლიკებმა უთუოდ შეასრულონ გეგმები და ვალდებულებანი, არ გატეხონ მიცემული სიტყვა. დასახული განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პარტიული კომიტეტების მუშაობის დონეზე, მათს უნარზე, დარაზმონ შრომელები წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ახალი ამაღლებისაკენ.

„რა თქმა უნდა, საოლქო ან რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები ბევრი და ერთობ სხვადასხვაგვარი შეფასების ჯამია. — თქვა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — მაგრამ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენერგიულ და კომპეტენტურ პარტიულ ხელმძღვანელობას. თუ თითოეული პარტიული ორგანიზაცია თავის უბანზე გამოიყენებს ყველა რეზერვს, დაამყარებს ჯეროვან წესრიგს ყველფერში, თითოეული ქვეყნის საქმეებიც წინ წავა. ამიტომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების როლის ამაღლება პასუხსაგები, სერიოზული და, მე ვიტყოდი, მუდმივი ამოცანაა“.

პარტიული კომიტეტები ბევრს მუშაობენ ამ მიმართულებით, რასაც დამაჯერებლად ადასტურებს ნიფენეკამსკის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკა. იგი საფუძვლიანად და ყოველმხრივ გაანალიზდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლებისათვის საწარმოთა კოლექტივების დარაზმვაში სკკპ ნიფენეკამსკის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

რა ახასიათებს ამ საქალაქო კომიტეტის პრაქტიკას? ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ კომიტეტი დღეიადაგ ავითარებს საწარმოთა პარტორგანიზაციებისა და კოლექტივების შრომითს აქტიურობას შინაგანი რეზერვების გამონახვისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებით ყოველ ახალ სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების, წარმოების განვითარებისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხები. დიდად ზრუნავენ იმისთვის, რომ წარმოებაში დაინერგოს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. ბევრი რამ კეთდება შრომითი რესურსების გამოყენების გაუჯობესებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მიზანია განუვითარონ მშრომელებს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა — შექმნან ოლექტივებში კარგი მიკროკლიმატი. ამისათვის იყენებენ უმდიდესი პარტიული არსენალის მრავალფეროვან ფორმებს. პარტიული ზეგავლენის გასაძლიერებლად დიდ ობიექტებზე იქმნება მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშაკთა პარტორგანიზაციების მდივნების საბჭოები. საჯარიზოროტო საკითხები პარტკომების ერთობლივ სხდომებზე, პარტჯგუფების კრებებზე განიხილება. საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიზანდასახულ, თანამიმდევრულ მოქმედებას თავისი შედეგები მოაქვს. ქალაქში მეათე ხუთწლედის მანძილზე წარმოების მოცულობა გაიზარდა 2,4-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — 55 პროცენტით, მოგება კი თითქმის ერთისამად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც დადებითად შეაფასა პარტიის ნიფენეკამსკის საქალაქო კომიტეტის მუშაობა, ამასთან მიუთითა, რომ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა აქ ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნებს. საქალაქო კომიტეტმა ჯერჯერობით ვერ მიაღწია იმას, რომ ყოველი პარტორგანიზაციისათვის, ყოველი ოლექტივისათვის მთავარი იყოს წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები. ზოგჯერ მათი მეცადინეობა მარტოოდენ რაოდენობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფას ხმარდება. ხარისხობრივის საზიანოდ არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს. მთლიანად არ არის დატვირთული სიმძლავრეთა ნაწილი. არის წუნის, ნედლეულისა და ენერგორესურსების გადახარჯვის შემთხვევები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნიფენეკამსკის საქალაქო კომიტეტს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა სკკპ XXVI ყრილობის მითითებათა თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე უზრუნველყონ წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ყოველმხრივი ამაღლება. დოკუმენტში ჩამოყალიბებულ შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს პარტიული კომიტეტებისათვის. საჭიროა ყველგან მთელი ენერგიით შრომობდნენ.

კომუნისტების ყურადღება უნდა მიექცეს გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებას, ფონდუკუგების გადიდებას. უნდა ვეზრუნოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, რენტაბელობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. ამის მიღწევა შეიძლება, თოდ წარმოებაში უფრო ფართოდ დაინერგება მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, საქმის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. საქმე ეხება მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, სახალხო დოვლათისადმი აყირათიან დამოკიდებულებას, ახალი ნაწარმის გამოშვების გაფართოებისათვის, სპეციალისტების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას.

„პრავდის“ მკითხველები გვეხმაურებიან ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების, კომიტეტების მუშაობის ხარისხის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებზე და აღნიშნავენ, რომ კარგ შედეგებს, ჩვეულებრივ, იქ აღწევენ, სადაც ნიადაგ ზრუნავენ ყოველი განსახორციელებელი ღონისძიების ეფექტიანობისათვის, გადაწყვეტილებათა ავტორიტეტისათვის. მაგრამ ამას ყველგან როდი ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. ზოგიერთი კომიტეტი გადაწყვეტილებას გადაწყვეტილებაზე იღებს, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება, რადგან სუსტად არის დაყენებული ორგანიზატორული მუშაობა მასებში. კიდევ უფრო გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ განსხვავება სიტყვასა და საქმეს შორის. უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი ენეკუთვნება შესრულებისადმი კონტროლს. ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ იმის შემოწმება, რაც ხინამდვილში იწარმოება, დავბოლოოთ ხოლმე დაწყებული საქმე, მკაცრად მოვკითხოთ ამათ, ვინც დაუდევრად ეკიდება დავალებებს.

ხარისხისათვის ბრძოლა განუყოფელია აღმზრდელობითი მუშაობისაგან, მშრომელთა იდეური წრთობისაგან. კიდევ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ პარტიული სწავლების ჭმდითობისათვის, უფრო ჭეშმარიტად დავუკავშიროთ თეორია შრომითი კოლექტივების პრაქტიკულ ამოცანებს. დიდად უნდა გავისარჯოთ, რათა აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და დეკლარაციულობა, შაბლონი და ლაქლაქი, რომლებიც ამცირებენ აღმზრდელობითი მუშაობის ზემოქმედებას ადამიანების შეგნებასა და გრძნობებზე. წარმატების საწინდარია ხელოვნებიანობა, კონკრეტულობა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

პარტიულმა კომიტეტებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა კიდევ უფრო აამაღლონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის დონე, დაბეჭდონ მუშაობის სტილი და მეთოდები. ეს არის სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

PRAVDA 9 სექტემბრის მოწინავე

ᲠᲘᲢᲛᲘ, ᲛᲣᲧᲐᲘᲗᲝᲑᲐ, ᲪᲔᲛᲕᲘ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

„ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა (გენერალური დირექტორი — ა. ხუროძე) პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის დავალება 103,2 პროცენტით შეასრულა. ზრდის ტემპმა ამ მიმართულებით შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 107,5 პროცენტი შეადგინა. მნიშვნელოვანი გადაჭრიბიჯი შესრულდა ადრეთვე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება.

დღეისათვის საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 35 პროცენტი შეადგინა და ეს ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელია რესპუბლიკის მრეწველობაში.

(„კომ“. კორ).

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

ᲣᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲚᲘ ᲚᲔᲒᲝᲓ შრომობენ რაიონის სამრეწველო საწარმოები, რითაც ყველა პირობას ქმნიან ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭრიბიჯით შესრულებისათვის.

რვა თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4.155 ათასი მანეთის და რეალიზებულია 3.900 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო დავალებებს მნიშვნელოვნად აჭარბებენ კაბელის ელექტროელემენტების, ხორცკომბინატის და პურკომბინატის კოლექტივები. (საკ. კორ.).

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲯᲐᲛᲔᲑᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲯᲐᲡ

მზეჩამდგარი ყურძენი დიდი რთველის მონაწილეებს ელის. ხვალზეგ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ყურძნის კრეფას მასობრივად შეუდგებიან. დაიწყება მეზვრეთა ოსტატობისა და საქმის ერთგულების მთავარი გამოცდა.

ამიტომ არის, რომ ამ მეტად პასუხსაგები კამპანიის დროს გამოჩენილი უყაირათობა და საქმისადმი გულგრილობა უფრო დიდი და გამოუსწორებელი დანაშაული იქნება გაზაფხულსა და ზაფხულში ზოგიერთი მევენახის იმ დაუდევრობასთან შედარებით, რომელთა გამოც რესპუბლიკამ ცოტა მოსავალი როდი დაკარგა.

ყოველივე ამას ერთხელ კიდევ გაეცნა ხაზი მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც გუშინ გაიმართა გურჯაანში.

„ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ მოსავალი გადარჩენილია!“ — ეს უკვე დიდი ხანია უპატაკეს სამშობლოს გურჯაანელებმა, მაგრამ მათ არ ავიწყდებათ, რომ „მოსავალი ის არის, რაც მარანშია“. ამიტომაც გაორკეცებული ენერგიით მოემზადნენ რეკორდული მოსავლის მისაღებად.

რაიონის მევენახეთა თავდადებული გარჯით შექმნილია წანამძღვრები, რომ საგეგმო 135 ათასი ტონის ნაცვლად მოიკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 155 ათასი ტონა ყურძენი. ამდენი მოსავლის მიღება-გადამუშავებისათვის მზად არიან რაიონის ღვინის ქარხნებიც. სრულ წესრიგშია მიმღები განყოფილებები, სასასწორე მეურნეობები. წლეულს ახალი მიმღები განყოფილებები ამუშავდება მუკუზნის № 1 ღვინის ქარხანაში. შეკეთებულია ყურძნის ტკბილის ნიმუშის მექანიკურად ამღები მოწყობილობანი.

რთველსათვის მზად არიან რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები, შეკეთებულია ვენახებში შავებს 250 ადგილობრივი და 500 დამატებით შემოსული ავტომანქანა, მუშახელის გადაყვანას მოემსახურება 340 სატვირთო ავტომობილი და ავტობუსი.

ყურძნის კრეფა წარიმართება ბრიგადული წესით. ფართოდ გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება, რათა დღეში 7-8 ათას ტონამდე ყურძენი ჩაბარდეს გადამუშავებელ მრეწველობას და რთველი 20 სამუშაო დღეში დამთავრდეს.

დიდმა რთველმა სტარტი აიღო. ჭაღრის კოლმეურნეობაში ყურძენი შერჩევით აკრეფება. აქაური მევენახეები ვარაუდობენ, რომ გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲕᲚ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲐᲛᲒᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲫᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲒᲝᲚᲣᲑᲔᲕᲐᲡ, ᲜᲘᲜᲝ ᲙᲣᲖᲛᲐᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲛᲐᲙᲡᲘᲛᲘᲐᲩᲙᲘᲜᲐᲡ, ᲐᲒᲘᲢᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲡᲣᲮᲝᲕᲐᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ, დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი პატაკი ახალი შრომითი გმირობების — თქვენ მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების, 1981 წლის 2 სექტემბერს ოთხი პირადი წლიური დავალების გაბაღდების შესახებ.

ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა თქვენი მაღალი პროფესიული ოსტატობის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მეოხებით და სახალხო მეურნეობის საქონლის მწარმოებელი დარგების მუშაკთა წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის შედეგი იყო.

მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მშრომელებო, შრომაში ასეთი მაღალი შედეგების მიღწევისათვის, რომლებიც შესანიშნავი პასუხია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებზე, მისწრაფებაა მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანოთ სახალხო მოხმარების საქონელზე საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების საქმეში.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ და თქვენი თანამოსაქმე ამხანაგები კვლავაც ღირსეულად იდგებით სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.
დიდი პატივისცემით

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲰᲔᲜ ᲡᲝᲕᲐᲜᲡ

9 სექტემბერს კრემლში გაიმართა მეგობრული შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰუა სოვანს შორის, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მუშაობაზე XXVI ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესასრულებლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრებას.

ჰუა სოვანმა თქვა, რომ კომპარტიის სახალხო რესპუბლიკამ მისი შექმნის დღიდან განვლილ ორ წელიწად-ნახევრის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ხალხის ცხოვრების ნორმალიზაციის, ეკონომიკის აღდგენის, საზოგადოების სოციალისტური საფუძვლების განმტკიცების საქმეში. კომპარტიელ ხალხს, რომელმაც პეკინის დამჭაობა მბრძანებლობის პერიოდში გენოციდის ტრაგედია გადაიტანა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას შემზარავი წარსულის აღორძინება. კომპარტიაში მიმდინარე ცვლილებები შეუქცევადი ხასიათისაა.

ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჰენ სოვანს შორის გაიმართა აზრთა გაზიარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის საკითხებზე. ეს რაიონი გახდა პეკინის ჰეგემონიზმისა და ამერიკის იმპერიალიზმის სახიფათო ინტრიგებისა და უხეში ზემოქმედების ობიექტი. ერთმანეთთან პირშეკრული პეკინი და ვაშინგტონი ყოველნაირად ისწრაფვიან დაამკოლონ ინდოჩინეთის ქვეყნების პროგრესისა და სოციალიზმის გზით განვითარება, ცდილობენ გაამწვაონ დაძაბულობა და კონფრონტაცია ასეანისა და ინდოჩინეთის ქვეყნების ურთიერთობაში. ეს უღღეური პოლიტიკაა.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰენ სოვანმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირსა და კომპუჩიას ბათილად მიაჩნიათ ეგრეთ წოდებული „კომპუჩიის საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის“ გადაწყვეტილებანი. ეს გადაწყვეტილებები სხვა არა არის რა, თუ არა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის ცდა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამის, კამპუჩიისა და ლაოსის მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს, კერძოდ, მათს წინადადებას ინდოჩინეთისა და ასეანის ქვეყნების რეგიონული კონფერენციის მოწყობის შესახებ. ამ წინადადების რეალიზაცია უდავოდ შეუწყობდა ხელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობასა და ვითარების გაჯანსაღებას.

გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტიულ მიმართულებათა შესახებ, ჰენ სოვანმა კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კამპუჩიელი ხალხის სახელით უღრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმ ყოველმხრივი ძმური დახმარებისათვის, სახალხო კამპუჩიას რომ უწევენ სხვადასხვა დარგში.

ლ. ი. ბრეჟნევმა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, მთელ კამპუჩიელ ხალხს უსურვა შემდგომი წარმატებანი ქვეყნის ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების მშენებლობაში, იმპერიალიზმის, ჰეგემონიზმისა და რეაქციის ხრიკებისაგან რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ჰენ სოვანის შეხვედრამ მეგობრულ, გულითად ატმოსფეროში ჩაიარა და ახასიათებდა შეხედულებათა სრული ერთიანობა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ჰენ სომანი. (საკდესი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ: ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲫᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ გარჯილა მეზვრე, როგორც წლეულს, და განა მარტო მეზვრე? განსაცდელის ჟამს ვენახს მიაშურეს მუშამ თუ მოსამსახურემ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვაზიც და ყურძენიც ძირითადად გადარჩენილია.

გუშინ სილნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ყურძნით დატვირთული მანქანები სახელმწიფო ღვინის მარანს მიადგა.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო!“ — ეკითხულობთ ქარხნის ალაყაფის კარებზე.

— ქარხანაში ყველაფერი რიგზეა, ყველა თავის ადგილზეა, ერთი წუთითაც არ ექნება მანქანებს შეფერხება — გვეუბნება ქარხნის დირექტორი ბ. ბუთლიაშვილი.

აქვე, ხირსის ტერიტორიაზეა განლაგებული წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ოზაანის კოლმეურნეობების ზვრები. მათი აღლიც მოადგა ჭიშკარს. თითოეულმა მათგანმა პირველსავე დღეს 20-30 ტონა ყურძენი ჩააბარა მარანს.

ხალხმრავლობა და საქმიანი ფუსფუსი იყო გუშინ წითელწყაროს რაიონის მეთაურ ღვინის ქარხანაშიც. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ ყურძნის შერჩევით კრეფა დაიწყო. მანვე პირველმა ააჭრიალა მარნის კარი, ქარხანას 40 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ჩააბარა.

10 სექტემბრიდან რთველის ფერხულში ჩადგებიან ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის კოლმეურნეობები. მარტო ზემო ქედის კოლმეურნეობა წლეულს სახელმწიფოს 12.000 ტონა ყურძენს მიჰყიდის, თითქმის ამდენსავე ტონას — არხილოსკალოს კოლმეურნეობა. სულ კი რაიონში 60.000 ტონა ყურძენი დამზადდება. ეს თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ სინამდვილეა — შარშანდელზე 8.000 ტონით მეტი!

ᲕᲚ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ სათბობენერგეტიკულ კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ნავთობსა და გაზს. სახალხო მეურნეობის ამ დარგების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მთელი მისი ეკონომიკისათვის.

ჩინებულ მაჩვენებლებს აღწევენ ქართველი მენავთობეები, მარტყოფის საბადოს მბურღავთა ბრიგადამ ახალი ინიციატივა გამოიჩინა და გაზალი შეჯიბრება დეკემბერ: „შეავსრულოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ვადამდე, ვიმუშაოთ უტრავმოდ და უავარიოდ“. ამ თაოსნობას „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანების ბურღვის ბრიგადამ დაუჭირა მხარი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ: „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანების აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს მარტყოფის საბადოს ბრიგადის ბურღვის ოსტატი ლევან ბერაია.

Ვ. ᲒᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვის სახელმწიფო დავალება ვადამდე შეასრულა. მომმპარებელს გეგმის დამატებით 970 ათასი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა. ასევე გადაჭარბებით შეასრულა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული ნაწარმის გამოშვების გეგმაც.

ასეთი წარმატებების მიღწევამ მკერავებს სირთულეთა დაძლევით უნდოდათ. საქმე ის არის, რომ საწარმო მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას ითხოვს, არ არის ყველა პირობა შექმნილი იმისთვის, რომ სრულყოფილი გახდეს პროდუქციის გამოშვების ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი. ამას ხელს უშლის საწარმოო უბნების ერთმანეთისაგან სიშორე და სხვა ტექნიკური ხასიათის ფაქტორები. ყოველივე ამას საწარმოს კოლექტივმა თავდადებული შრომა, სიახლეთა დანერგვა დაუპირისპირა და შედეგსაც აღწევს.

რესპუბლიკის საწარმოებს შორის მკერავებმა ერთ-ერთმა პირველებმა დანერგეს მუშაობის ბრიგადული ფორმა, იგი აქ ძირითადი გახდა. ეს კი, როგორც ცნობილია, შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. დამკვიდრდა და წარმატებით მოქმედებს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, შემუშავდა და დაინერგა ოცი შიდასაწარმოო სტანდარტი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და მანქანა-დანადგარების სწორი ექსპლოატაციის საქმეში.

ამაღლდა დამრიგებლის როლი. რახან დამრიგებლებზე ჩამოვიდა ლაპარაკი, ისიც უნდა ითქვას რომ მათი მოღვაწეობის გარეშე შეიძლება ფაბრიკის კოლექტივის მიღწევები ასეთი დამაჯერებელი არც ყოფილიყო. ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელის სახელი მოიხვეჭა თავისი საქმის ნამდვილმა ოსტატმა, მკერავმა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა ნ. ლორიამ, კარგი დამრიგებლები გახდნენ მისი კოლეგები მ. ღუღუნიშვილი, ლ. ქავთარაძე, ვ. ციცაგი, ვ. პისარევა, ზ. უბირია, ვ. მირონაძე; ა. გეგუჩაძე, ვ. გოცირიძე.

— ეჭვგარეშეა, რომ მომავალში ჩვენი კოლექტივი მეტ წარმატებას მიაღწევს, — გვითხრა ფაბრიკის დირექტორმა ვ. მაჭავარიანმა. — ამაში კი საწარმოს რეკონსტრუქცია დაგვეხმარება.

წლეულს ფაბრიკის კოლექტივმა მომხმარებელს 45 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მიაწოდოს. ეს საკმაოდ სერიოზული ამოცანაა. საწარმოს კოლექტივი მზად არის მის გადასაწყვეტად. მიზნის მიღწევაში, როგორც ყოველთვის, დაგვეხმარება სოციალისტური შეჯიბრება, მისი ორგანიზაციის სრულყოფა, რვა თვის მონაცემებით, შრომითს მეტოქეობაში მეორე და მეოთხე სამკერვალო საამქროს კოლექტივებმა გაიმარჯვეს. ბრიგადებს შორის პირველობს ის კოლექტივი, რომელსაც რ. ტარიელაშვილი ხელმძღვანელობს.

ფაბრიკის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლიური გეგმის შესრულება 25 დეკემბერს უპატაკოს სამშობლოს.

Ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲠᲯᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲥᲐ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულების განაღდებისათვის შუაყითად ირჯებიან სამტრედიელი მშრომელები. ამჯერად მეზილეებმა ისახელეს თავი და გადაჭარბებით შეასრულეს კურკოვანი ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის და საკავშირო ფონდში გაგზავნის გეგმები. საგეგმო 2. 200 ტონის ნაცვლად დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.210 ტონა ხილი.

ხილის დამზადება გრძელდება. ეს რეფაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ

ᲟᲐ. წყალტუბოს ზონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს. საგეგმო 10.900 ტონის ნაცვლად 4 სექტემბრისათვის დამზადდა და გადამუშავებულ მრეწველობას ჩაბარდა 11.800 ტონა, შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით 915 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ

საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. ბოკერია გვატყობინებს, რომ რაიონის მშრომელებმა საგეგმო 85.500 ტონა უხეში საკვების ნაცვლად 85.800 ტონა დაამზადეს. წვნიანი საკვები — სილოსი დამზადებულია 33.047 ტონა, შარშანდელთან შედარებით 18.000 ტონით მეტი.

უხეში და წვნიანი საკვების დამზადება გრძელდება.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მწერალთა კავშირში გაიმართა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მე-100 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სამოლოო სხდომა.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, მწერალმა-აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. აბაშიძემ ილაპარაკა გაწეულ მუშაობაზე, წაიკითხა კომისიის გადაწყვე

პარტიული ცხოვრება

როცა მიღწეულს ვაჯამებთ

ანგარიშგება-არჩევნების წინ

მალე ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიურომ, კომუნისტებმა ანგარიში ჩაბარეს კრებას გაწეული მუშაობის შესახებ. და ეს არა მხოლოდ ანგარიში, არამედ მთელი ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობების საბრძოლო დათვალიერებაც იყო.

ამ ერთმა წელმა, რომელიც აღსავსეა მნიშვნელოვანი მოვლენებით, სიახლეებით, ბევრი რამ გვაწავლა, ბევრ რამეზე მიგვანიშნა, მაგრამ წლევანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, იმ სიტყვის დებულებებსა და დასკვნებს მიექცევა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა.

წნორის სახორაცე მეძროხეობის საცდელი კომპლექსის პარტიული ორგანიზაცია თავის ნიგბებში 125 კომუნისტს (ხუთი საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია და ოთხი პარტიული ჯგუფი) აერთიანებს. როდესაც ჩვენი კომუნისტები მომავალ საანგარიშო-საარჩევნო პერიოდზე ფიქრობენ, ბუნებრივად ისმება კითხვები: რა გაკეთდა განვლილ პერიოდში? რა ვერ გავაკეთეთ და რატომ? რა უნდა გაკეთდეს მომავალში?

სწორედ ეს საკითხებია ახლა პარტიული კომიტეტის ყურადღების ცენტრშიც. ამიტომ გადაეწყვეტეთ ჯერ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, ხოლო შემდეგ ღია პარტიულ კრებაზე განგვიხილა საკითხი წინა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის ძდგომარეობის შესახებ. შევადგინეთ კრების მომზადების სპეციალური გეგმა, კომიტეტის წევრებს მივეცით დავალებები. კომიტეტისა და მისი წევრების ანგარიშის გარდა პარტიულ კრებაზე მოვისმინეთ მეურნეობის მთავარი სპეციალისტების, დარგის ხელმძღვანელების, იმ კომუნისტების ანგარიშები, რომლებიც გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ. ანგარიშების მომზადებაში დარგის ხელმძღვანელს და სპეციალისტებს პარტიული კომიტეტის წევრები ეხმარებოდნენ.

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას. კონტროლს კი ის გვაადვილებს, რომ დადგენილებაში განსაზღვრულია შესრულების კონკრეტული ვადა და ამისათვის პასუხისმგებელი პირი. შემოღებული გვაქვს დადგენილების შესრულების საკონტროლო დაფა. ეს ამაღლებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას. მაგალითად, მაისში განვიხილეთ მეურნეობაში თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობის საკითხი. გადავწყვიტეთ ენამის სასუქ მოედანზე კაპიტალურ საყრდენებზე ერთი თვის ვადაში მოგვეწყო პლაკატები. ეს საკითხი საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივანს ჯ. ჯავახიშვილს დავევალა. გაცხარებული საკენახე საშუშაოების გამო დროის მწყვავე დეფიციტის მიუხედავად მან მაინც შეძლო დავალების შესრულება.

საკონტროლო დაფის მეშვეობით წინასწარი ვადების განსაზღვრით ვისმენთ აგრეთვე პარტჯგუფორგების, კომუნისტების ანგარიშებს გაწეული შუშაობის შესახებ.

პარტიული კომიტეტის ყოველ სხდომას, პარტიულ კრებას ინფორმაციას ვაწვდით წინა სხდომაზე თუ კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ. ესეც გარკვეულად ზრდის კომუნისტთა ინტერესს და პასუხისმგებლობას.

პარტიული კრება საინტერესო და მიმზიდველია, როცა იგი წინასწარ შინაარსიანად მზადდება, როცა მის მომზადებაში მონაწილეობს არა ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანი. შარშან საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გვისაყვედურეს, რომ კრების მომზადებისათვის მარტო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ზრუნავს, ზოგჯერ იგი ნაჩქარეკად იმართება და სხვ.

რა ვიღონეთ, რა გავაკეთეთ ამ სამართლიანი კრიტიკის პასუხად? ახლა პარტიული კრების მომზადება, ღონისძიებების პროექტის შემუშავება ევალება სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში პარტიული კომიტეტის და პარტბიუროს წევრები, დარგის სპეციალისტები, რიგითი კომუნისტები შედიან. კომისია საკითხის შესწავლის პერიოდშივე ახორციელებს ქმედითს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. იმ ნაწილში კი, რაც გასაკეთებელია, რაც მოითხოვს ჩარევას, დახმარებას, შეიმუშავებს, როგორც უკვე ვთქვით, კონკრეტულ, გამიზნულ ღონისძიებას.

სკკპ XXVI ყრილობამ წინა პლანზე წამოსწია მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი, ანუ სასურსათო პროგრამა, რომლის განხორციელების ერთერთი პირობაა მეცხოველეობის შემდგომი, ინტენსიური განვითარება. ეს უშუალოდ ჩვენ გვეხება და ბევრი რამ გვევალება კიდეც.

რის გაკეთებას ვაპირებთ ამ მხრივ? მეთერთმეტე ხუთწლეულში უნდა მივაღწიოთ საპროექტო სიმძლავრეს. ეს ნიშნავს, რომ სამრეწველო პირუტყვის სულადობას გავზრდით, ერთიორად და მეტად — 12-დან 25 ათასამდე, ფაფრისა და ფურკამეჩისა — 12 ათას სულამდე, წლიურად ვაწარმოებთ 4.500 ტონას და სახელმწიფოს მივყიდით 4.000 ტონა ხორცს.

მეურნეობას უკვე შექმნილი აქვს. საამისო ეკონომიკური საფუძველი. იგი ყოველწლიურად ძლიერდება და სულ უფრო რენტაბელური ხდება. შარშან მეურნეობამ დაგეგმილი 71 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად 21.600 მანეთი მოგება მიიღო, მომდინარე წლის ექვს თვეში კი მოგებამ 150 ათასი მანეთი შეადგინა.

მაგრამ ჩვენ წინაშე მაინც ბევრი სერიოზული ამოცანაა, რომლებსაც მხოლოდ მაშინ დავძლევთ, როცა კომუნისტთა ირგვლივ დაირაზმება მთელი კოლექტივი, როცა თითოეული ჩვენგანის, მით უმეტეს კომუნისტის ყოველ სიტყვას საქმე მოჰყვება.

ამას წინათ, პარტიულ კრებაზე, კომუნისტებმა ვ. ნატრიშვილმა და მ. გელაშვილმა თქვეს, სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს ორგანიზაციაში ფორმალურ ხასიათს ატარებსო და სათანადო ფაქტებიც მოიყვანეს. მათ გამო სპეციალურად ვიმსჯელეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, შეკამეფაკეთ ღონისძიება. დირექციამ თვალსაჩინოებისათვის გამოგვიყო სახლები. ახლა ყოველთვიურად, ზოგ უბანზე კვარტალურად ვაჯამებთ შეჯიბრების შედეგებს და მათ სპეციალურ დაფაზე ვაქვეყნებთ. აგვისტოს შედეგების მიხედვით, მოწონაცეთა დაფაზეა № 4 ფერმა, რომელსაც კომუნისტი გ. სიხაშვილი ხელმძღვანელობს. ფერმის მუშაკებმა ბის მშენებლობა და ხაზი გაუსვა იმას, რომ მან ეს ჯერ კიდევ შარშანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თქვა. ამ მშენებლობის ბედი, ისევე, როგორც კომუნისტთა მიერ დაყენებული საკითხების ერთი ნაწილი, სამეურნეო წლის ბოლომდე დადებითად გადაწყდება, დამთავრდება მეორე რეპროდუქტორული ფერმის მშენებლობა, ენამთის სასუქმბელი მოედნის რეკონსტრუქცია და მესამე ხაზის მშენებლობა. კომპლექსის ტერიტორიაზე დაიწყება პოლიკლინიკისა და სბავშვო ბაღის მშენებლობა, განახლდება სპორტული კომპლექსის მშენებლობისა და მუშათა დასახლების გაზიფიკაციის სამუშაოები.

ყოველივე ზემოთქმული როდი ნიშნავს, თითქოს ყველაფერი მოგვარებული იყოს, ნაკლოვანებები აღარა გვქონდეს. პირიქით, გაკეთებულზე უფრო მეტი გასაკეთებელია. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მიწათმოქმედების კულტურა, ჯოგში სამრეწველო და სანაშენე პირუტყვის სტრუქტურის, ძირითადი სახსრების ამოქმედების, ფონდუკუგების, კადრებთან მუშაობის საკითხები და ა. შ. ეს და მასთან დაკავშირებული ბევრი სხვა პრობლემა, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, ჩვენი მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კრების მსჯელობის საგანი გახდება.

ისევე როგორც წინათ, არ დავეყრდნობით ეგრეთ წოდებულ „ტატიან“ გამომსვლელებს. პირიქით, კამათში მონაწილეობის მიღებაში დავეუბრანოთ იმ ამხანაგებს, რომლებიც უხმაუროდ მუშაობენ, არიან ინიციატორები, საქმე უფრო ეხერხებათ, ვიდრე ლაპარაკი, მაგალითად, როგორებიც არიან ჩვენი მწყემსები, კომუნისტები გ. სიხაშვილი, ბ. ბუწაშვილი და სხვები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებს პარტიული ჯგუფებით ვიწყებთ. ეს საშუალებას გვაძლევს სრული წარმოდგენა გვქონდეს მათს მუშაობაზე. მაგალითად, შარშან ძალზე დაბალ დონეზე გაიმართა საანგარიშო კრება ავტოპარკის პარტიულ ჯგუფში. არაფრისმთქმელი, მოუმზადებელი მოხსენების გამო კამათიც უფერული გამოდგა.

გავითვალისწინეთ რა აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები, უკვე შევუდექით ანგარიშგება-არჩევნებისათვის მზადებას. საკითხი განვიხილეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე. შევადგინეთ გეგმა-გრაფიკი, პარტიულ ჯგუფებსა და საბრიგადო ორგანიზაციებს კრების მოსამზადებლად მივამაგრეთ კომიტეტის წევრები.

პირველად პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო მოხსენებას მოამზადებს სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან პარტიული კომიტეტის წევრები, დარგის ხელმძღვანელები, მთავარი სპეციალისტები, ასევე ერთობლივად შეიმუშავებთ დადგენილების პროექტს...

ანგარიშგება-არჩევნები — დაიწყო. ყველაფერს ვიღონებთ, რათა იგი გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რომ საანგარიშო კრება იყოს ჩვენი მუშაობის სარკე, რომ მასში ნათლად აირეკლოს კოლექტივში არსებული ნამდვილი მდგომარეობა, განსაკუთრებით ნაკლოვანებები, რათა დავსახოთ მათი გამოსწორების გზები, მომავლისათვის სწორად განვსაზღვროთ კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ლ. მირიანაშვილი,

სიღნაღის რაიონის წნორის სახორცე მეძროხეობის საცდელი კომპლექსის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გზა გადავულოგოდ დანაკარგებ

50 პროცენტით

შემცირდა ...
კარგები ერთ შუშაკზე გაანგარ...
ბებით სამხრეთ ოსეთის მრეწ...
ლობაში მიმდინარე წლის პ...
ველ ნახევარში. რამდენადმე ...
ლო ამ მაჩვენებლემა გასულ...
წლის შესაბამის პერიოდთან ...
დარებით აგრეთვე მშენებლ...
ში, სოფლის მეურნეობაში. ...
თანავე სამუშაო დროის არასწ...
რმოო დანაკარგებისა და კადრ...
ების დენადობის შემცირების ...
ლქო და რეგიონული შტატ...
საქმიანობაში არსებითი ნაკლ...
ვანებებიც არის. საოლქო შტა...
სხდომები რეგულარულად არ ...
ყობა, მიღებულ გადაწყვეტილ...
ებებს ხშირად აკლია კონკრეტულ...
ობა. უსისტემოდ მუშაობს ...
ვალის საქალაქო შტაბი, სადაც ...
არის მოგვარებული სამუშ...
დროის არასაწარმოო დანაკარ...
ბის ყოველთვიური აღრიცხვ...
და ანალიზის მწყობრი სისტ...

ყოველივე ამის შესახებ გ...
მართა ხჯა-ბაასი საქართველ...
სსრ სახალხო მეურნეობაში ...
მის დისციპლინის განმტკიცებ...
და კადრების დენადობის შემ...
რების რესპუბლიკური შტა...
სხდომაზე. აქ პრინციპული ...
შეფასესეს აგრეთვე ზოგიერ...
სხვა დარგობრივი და რეგიონ...
ლი შტაბის საქმიანობა, რომ...
ბიც არ ახორციელებენ ქმედ...
ღონისძიებებს სამუშაო დრ...
დანაკარგების შესამცირებლად.

შტაბის სხდომის შედეგ...
შეაჯამა მისმა ხელმძღვანელ...
საქართველოს პროფსაბჭოს ...
მჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

(საქინფორმ)

ფაქტები □ მოვლენები □ გამოხმაურება □ კომენტარი

● ირანი

საგენტოს ცნობა უარყვეს

თეირანი. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უარყო ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა, რომელშიც უხეშად არის დამახინჯებული ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალური პროკურორის რაბანი-ამლაშის გამოსვლა პრეზიდენტ რაჯაისა და პრემიერ-მინისტრ ბაზონარის დაკრძალვის ცერემონიაზე.

კერძოდ, მისი მოწოდება „მეტი სიმტკიცე გამოვიჩინოთ პროამერიკული კონტრრევოლუციური ჯგუფების მიმართო“, იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტომ გადააკეთა იმ ფრაზად, რომ ბანი-სადრის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში 4 ათასი კაცი დაპატიმრეს და თითქოს რაბანი-ამლაშს ბრძანება მიეცეს ისლამური ტრიბუნალებისათვის დაჩქარონ მათი გასამართლება.

ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია. როცა დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები აუკუღმართებენ ირანის ხელმძღვანელთა გამოსვლებსა და განცხადებებს, აქვეყნებენ ტენდენციურ ინფორმაციას, რომელიც ამახინჯებს ირანში მიმდინარე მოვლენების ჭეშმარიტ აზრს.

● ბოლივია

შეიქმნა ახალი კაბინეტი

ლიმა. ბოლივიის პრეზიდენტმა გენერალმა სელსო ტორელომ გამოაცხადა მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. მასში შევიდნენ თერთმეტი სამხედრო და შვიდი სამოქალაქო პირი.

საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა გონსალო რომერო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი რომულო მერკადო.

სად რა მოხდა

გაასამართლეს ჯაშუშობისათვის

ბერლინი. ბერლინის სამხედრო სასამართლომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს უ. ბარმსს 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშური საქმიანობისათვის, რომელსაც იგი რამდენიმე წლის მანძილზე ეწეოდა. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გზავნიდა ინფორმაციას, რომელიც ზიანს აყენებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ინტერესებს. სასამართლომ გამოძიების მსვლელობაში დადასტურდა, რომ დასავლეთ გერმანიის სპეციალური სამსახურები ნატოს აგრესიული გეგმების ფარგლებში ახორციელებენ გრძელვადიან ძირგამომთხრელ აქციებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სტიქია მძვინვარებს

ფყალდიდობა ჩინეთში

პარიზი. სამი კვირის მანძილზე კოკისპირული წვიმების შედეგად გამოწვეულმა წყალდიდობამ ჩინეთის ცენტრალურ რაიონებში, ფრანს პრესის სააგენტოს მონაცემებით, 2.500 კაცი იმსხვერპლა, უსახლკაროდ დარჩა 2 მილიონამდე ოჯახი. სიჩუანის პროვინციის ზოგიერთ რაიონში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალა სტიქიურმა უბედურებამ, მთელი რიგი დასახლებული პუნქტები მთლიანად დაიტბორა.

საერთაშორისო შენიშვნები

ტრადიციისამებრ ზაფხული საერთაშორისო, დიპლომატიური და საერთოდ პოლიტიკური ცხოვრების „მკვდარ“ სეზონად ითვლება. მეტწილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სწორედ ზაფხულის თვეებში აქვთ საპარლამენტო არდადეგები — ცარიელდება მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროთა კაბინეტები და მისაღები ოთახები, თვით მოუსვენარი ჟურნალისტებიც კი სადღაც უჩინარდებიან ხოლმე.

ასეა ტრადიციულად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც დრო გადის მით უფრო ხშირად ირღვევა ეს „ძველი კეთილი“ ტრადიცია. როგორც ჩანს, ზოგ-ზოგებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ზაფხულში შეიძლება შედარებით უმტკივნეულოდ, რბილად რომ ვთქვათ, არაპოპულარულ აქციათა განხორციელება. ყოველ შემთხვევაში პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციამ თავისი მუშაობის პირველსავე ზაფხულს ცხადყო, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პრაქტიკაში გამოკვდოს ეს აზრი. ალბა, სხვა რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ აგვისტოს დამდეგს, როდესაც პრეზიდენტი და მისი უახლოესი თანამშრომლები უკვე შვებულებაში იმყოფებოდნენ (ჟურნალისტებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ 1968 წლის შემდეგ ასე ხანგრძლივად არც ერთ პრეზიდენტს არ დაუსვენია), საგანგებო თათბირზე იღებენ გადაწყვეტილებას მასობრივი მოსპობის ნეიტრონული იარაღის წარმოების შესახებ. ნაიტრონულ იარაღზე, მის თვისებებსა და ტექნიკურ მონაცემებზე საკმაოდ დაიწერა ჩვენს პრესაში. ყალბია იმის მტკიცება, თითქოს იგი მხოლოდ თავდაცვითი იარაღი ყოფილიყოს, ეს საჯაროდ აღიარა კანცლერმა შმიდტმა. სპეციალისტთა საერთო გაოცება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის უაინბერგერის განცხადებამაც, „ნეიტრონული იარაღი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან მომავალი მოლაპარაკების წარმატებასო“ (უაინბერგერს მხედველობაში ჰქონდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკება). ცნობილი დასავლეთგერმანელი პოლიტიკური მოღვაწის, ეგონ ბაროს აზრით კი, ნეიტრონული იარაღის წარმოება იმის მომასწავებელია, რომ „დასავლეთი სერიოზულ ნაბიჯს დგამს შეიარაღების გზაზე და გარკვევით აკრძალობინებს საბჭოთა კავშირს, რომ ისიც უნდა შეიარაღდეს“. უფრო კონკრეტული აზრი გამოთქვა შმიდტმა 24 აგვისტოს დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში: „არასოდეს არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ერთი შეძლებს აწარმოოს ესა თუ ის იარაღი, ხოლო მეორე კი ვერა. მეორესაც შეუძლია მისი წარმოება“. სწორედ ეს აწუხებთ საქმეში ჩახედულ დასავლელ სპეციალისტებს და არა ის, რომ ამერიკამ შეიძლება რაიმე უპირატესობა მოიპოვოს საბჭოთა კავშირთან შედარებით, ეს რომ ასე იყოს, ალბათ ბევრი იგივე ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკური მოღვაწის პოზიციაც სულ სხვაგვარი იქნებოდა.

ამ დღეებში მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოები ბევრს წერენ დასავლეთევროპელთა დამოკიდებულებაზე ვაშინგტონის ზემოალნიშნული გადაწყვეტილებისადმი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნეიტრონული იარაღის პრობლემამ კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა მოუწყო ვაშინგტონ-დასავლეთ ევროპის ურთიერთობას. სწორედ ამით, და არა სხვა რაიმე ჰუმანური მოსაზრებებით აიხსნება ჰეიგსა და უაინბერგერს შორის წამოჭარილი უთანხმოება. სახელმწიფო მდივანს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ევროპის კლიმატი და კონტინენტზე სულ უფრო მზარდი ანტიამერიკანიზმი ცუდი პოლიტიკური ფონი იყო ევროპელთათვის ეგზომ მტკივნეული გადაწყვეტილების მისაღებად. თავდაცვის მინისტრის (რომელსაც, საერთო აზრით, უკვე გაურბის თვალი ჰეიგის სავარძლისაკენ) მთავარი არგუმენტი ის იყო რომ ნეიტრონული იარაღის წარმოება ამერიკის საშინაო საქმეა და თვით უახლოეს მოკავშირეებსაც კი არა აქვთ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება. 10 აგვისტოს სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე, შეკითხვაზე, თუ რატომ მიიღო ვაშინგტონმა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მოკავშირეებთან უკონსულტაციოდ, უაინბერგერმა ასეთი პასუხი გასცა: „სადღეისოდ ადმინისტრაციას არა აქვს ამ იარაღის ევროპაში განლაგების გეგმა. იგი შენახული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების საწყობებში. როგორც კი დადგება სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ნეიტრონული იარაღის განლაგების საკითხი, ჩვენ კონსულტაციებს გავმართავთ მოკავშირეებთანო“.

ორი კვირაც არ იყო გასული ამ პრესკონფერენციიდან, რომ უაინბერგერი უკვე ლონდონში ჩავიდა ოფიციალურ ვიზიტად. მიმომხილველთა აზრით, დიდ ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ ნოტთან მისი მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ინგლისის ტერიტორიაზე ნეიტრონული იარაღის განლაგების საკითხი. ეს ალბათ ის იყო ლონდონის პრესაც კერძოდ, „დეილი მეილი“ წერდა: „თუ გავითვალისწინებთ ტეტჩერის მთავრობის პოზიციას, სრულიად დასაშვებია ნეიტრონული იარაღის განლაგება ინგლისში“. იმავე პერიოდში ლონდონში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანამემწეს პერლმა კი სრულიად აშკარად განუცხადა ჟურნალისტებს „იურიდიული თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს არ ესაჭიროებათ ნებართვა ახალი იარაღის განლაგებისათვისო“. ეს უკვე მეტისმეტი იყო და მთელ ევროპაში აზვირთდა ანტიამერიკული ტალღა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნატოს ციტადელი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც სექტემბრის პირველ რიცხვებში აპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია ამერიკის საწინააღმდეგო აქციებმა. კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწენიც, როგორც იმ დღეებში გაზეთი „გენერალ-ანაციგერი“ წერდა, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში მკვეთრად გაიზარდა ოპოზიცია პარტიის ლიდერის ჰენშერისადმი, რომლის პროამერიკული სიმპათიები რეკლამას არ საჭიროებს. პარტიის გამგეობის წევრმა ბორმმა ჰენშერს ბრალი დასდო, „მის დროს დასრულდა სოციალ-ლიბერალური საგარეო პოლიტიკის ხანაო“. ხოლო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერის ლუცის აზრით, ჰენშერი „შეგნებულად აღვივებს კონფლიქტს სოციალ-დემოკრატებთან“. გაზეთი „რაინიშე პოსტი“ უფრო შორს წავიდა თავის ბრალდებაში და საგარეო საქმეთა მინისტრს დაძაბულობის შენელეს პოლიტიკის საწინააღმდეგო კურსში დასდო ბრალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაშინგტონის აქციას სტანდარტული „ვამათი“ შეეგება ჰეკინი. სინჰუამ ამასთან დაკავშირებით სპეციალური ვრცელი ცნობა გაავ

. განმარტავდა რა სინჰუას ცნობას, ფრანს პრესი აღნიშნავდა, რომ, ჩინეთის აზრით, კომპონენტების წარმოებიდან (ოგეულისხმება ნეიტრონული იარაღი) სრულფასოვანი იარაღის წარმოებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს „ევროპაში მის იოლ და სწრაფ გ...ნლაგებას“. არავისთვის საიდუმლ... არ არის ის ფაქტი, რომ ნეი...რონული იარაღის საბრძოლო მ...ქმედების თეატრად პენტაგონ...ევროპა აქვს გამიზნული, და რ...ევროპაში ამ იარაღის განლაგ...მხოლოდ დროის საკმეა. საკ...მოაზროვნე ევროპელი სპეციალ...სტები უფრო შორს იყურებენ...და ამტკიცებენ, რომ ვაშინგტონ...ამ გზით ცდილობს „ევროსტრ...ტეგიული“ რაკეტების თაობაზ...მომავალი მოლაპარაკების ჩ...ლას. მართალია 11 აგვისტ...კალიფორნიაში თეთრი სახლ...წარმომადგენელი სპინგერ...თებით ცდილობდა ჟურნალისტ...დარწმუნებას, ადმინისტრაც...გადაწყვეტილება გააადვილებს...ბჭოთა კავშირთან მომავალ მ...ლაპარაკებებსო, მაგრამ მისი ა...გუმენტი — „ნებისმიერ მოწ...პარაკებში ძალის პოზიციიდ...მდგომა სჯობს სუსტ პოზიციიდ...როგორც ეს წარსულში იყოო“ — საწინააღმდეგო ვერსიაზე უფ...მეტყველებდა, ძალის პოზიციიდ...დან ხომ არც ერთი თანასწორუფ...ლებიანი (ესე იგი პერსპექტიულ...და მტკიცე) ხელშეკრულება ა...დადებულა კაცობრიობის ისტ...რიაში. რაც შეეხება წარსულ...

დაკაბულობის

ესკალაციის კურსი

ტორიაზე ნეიტრონული იარაღის განლაგების საკითხი. ამავე აზრისა იყო ლონდონის პრესაც კერძოდ, „დეილი მეილი“ წერდა: „თუ გავითვალისწინებთ ტეტჩერის მთავრობის პოზიციას, სრულიად დასაშვებია ნეიტრონული იარაღის განლაგება ინგლისში“. იმავე პერიოდში ლონდონში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანამემწემ პერლმა კი სრულიად აშკარად განუცხადა ჟურნალისტებს „იურიდიული თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს არ ესაჭიროებათ ნებართვა ახალი იარაღის განლაგებისათვისო“. ეს უკვე მეტისმეტი იყო და მთელ ევროპაში აზვირთდა ანტიამერიკული ტალღა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნატოს ციტადელი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც სექტემბრის პირველ რიცხვებში აპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია ამერიკის საწინააღმდეგო აქციებმა. კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწენიც, როგორც იმ დღეებში გაზეთი „გენერალ-ანაციგერი“ წერდა, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში მკვეთრად გაიზარდა ოპოზიცია პარტიის ლიდერის ჰენშერისადმი, რომლის პროამერიკული სიმპათიები რეკლამას არ საჭიროებს. პარტიის გამგეობის წევრმა ბორმმა ჰენშერს ბრალი დასდო, „მის დროს დასრულდა სოციალ-ლიბერალური საგარეო პოლიტიკის ხანაო“. ხოლო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერის ლუცის აზრით, ჰენშერი „შეგნებულად აღვივებს კონფლიქტს სოციალ-დემოკრატებთან“. გაზეთი „რაინიშე პოსტი“ უფრო შორს წავიდა თავის ბრალდებაში და საგარეო საქმეთა მინისტრს დაძაბულობის შენელეს პოლიტიკის საწინააღმდეგო კურსში დასდო ბრალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაშინგტონის აქციას სტანდარტული „ვამათი“ შეეგება ჰეკინი. სინჰუამ ამასთან დაკავშირებით სპეციალური ვრცელი ცნობა გაავაცელა. განმარტავდა რა სინჰუას ცნობას, ფრანს პრესი აღნიშნავდა, რომ, ჩინეთის აზრით, კომპონენტების წარმოებიდან (ოგეულისხმება ნეიტრონული იარაღი) სრულფასოვანი იარაღის წარმოებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს

მოსკოვის წიგნის ბაზრობაზე

მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში

კლანეტის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა, ხალხთა მეგობრობისა და ნდობის გაღრმავების გზით გადადგმული ახალი ნაბიჯი გახდა მოსკოვის III საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა. ერთი კვირის მანძილზე საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო ამ წარმომადგენლობითი წიგნის ფორუმისადმი, რომელმაც საგრძნობი წვლილი შეტანა სულიერ ღირებულებათა გაცვლის გაფართოებას. 8 სექტემბერს მოსკოვში შეჯამეს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა საერთაშორისო შეხვედრის შედეგები.

— კეთილშობილურმა დეკეზმა „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ მოსკოვში თავი მოუყარა 86 ქვეყნის 230 გამომცემლობის, ფირმისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარემ ბ. ი. სტუკალინმა. — გამოფენა-ბაზრობის მონაწილენი და სტუმრები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა წიგნის როლს ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესების, პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრების საქმეში.

გამოფენის შედეგები ნათლად მოწმობს, რომ მისი ავტორიტეტი სულ უფრო მნიშვნელოვანი და გავლენიანი ხდება საერთაშორისო წიგნის სფეროში. საკმარისია ითქვას, რომ მოსკოვში დიდ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემის უფლებებს ექსპორტ-იმპორტის 2157 კონტრაქტი. ეს 10,5 პროცენტით მეტია, ვიდრე მეორე საერთაშორისო ბაზრობაზე. საბჭოთა ორგანიზაციებმა დადეს გარიგებები 90 მილიონი მანეთის წიგნების გაყიდვისა და შეძენის შესახებ. ამ კონტრაქტების შედეგად ათასობით ახალი ნაწარმოები გახდა სსრ კავშირისა და მთელი მსოფლიოს მკითხველთა კუთვნილება.

გაიზარდა იმ კონტრაქტების რიცხვი, რომელთა საფუძველზეც საზღვარგარეთი გამოიცემა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის საბჭოთა ლიტერატურა. ბევრ ქვეყანაში გამოვა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებები, ლ. ი. ბრეჟნევისა და მეცნიერული კომუნიზმის სხვა ხელმძღვანელების წიგნები. ეს მოწმობს, რომ სულ უფრო იზრდება მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესი ჩვენი ხალხის ცხოვრებისადმი, მისი მიღწევებისადმი, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკისადმი.

საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნმა“ დადო მრავალი კონტრაქტი საბჭოთა ლიტერატურის ტირაჟების საზღვარგარეთის ფირმებისათვის მიწოდებისა და მათგან გამოცემათა შეძენის შესახებ. ხელმოწერილია ხელშეკრულებანი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების, გრაფიკოფიტების, ფილატელისტიკური პროდუქციის ორმხრივი მიწოდების თაობაზე სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანი შეკვეთებია მიღებული ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ ბერლინის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ავსტრალიის, კანადის ფირმებისა და გამომცემლობებისაგან.

თავის მხრივ, საბჭოთა მკითხველები სულ მალე მიიღებენ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის სიახლეებს, კლასიკოსთა და მწერალთა ნაწარმოებებს.

საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს შუამავლობით საბჭოთა გამომცემლობებმა დადეს ორი ათასამდე კონტრაქტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, მხატვრული ლიტერატურის სამი ათასი ნაწარმოების უფლებათა ორმხრივი დათმობის შესახებ.

(საკდესი).

საქდესისა და ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტები გვატყობინებენ

...ეპოქაშეღწევითი კავშირის ტრიბუნა

...ლოვნება ყოველთვის უპა-...ებდა და დღესაც უნდა უპა-...ებდეს თანამედროვე ადამია-...სულიერ მოთხოვნილებებს. ...მოთხოვნილება მაღალზნეობ-...და ჰუმანურ საწყისებზე რომ ...ოცენდეს, საჭიროა ყოველ-...ურად ისეთი წყაროთი ივსე-...ოს, რომელიც ესთეტიკურ ...ვნილ მოგვიკლავდა.

...ტომ ჩვენი, ხელოვნების ...ერთა მიზანი უნდა იყოს შე-...ბილდაგვარად ავარიდოთ სა-...ადოებრიობა მღვრეე, უსუფ-...ნაკადს და შევუნარჩუნოთ ...ოვიერი სიწმინდე.

...ოს, როცა მეცნიერებამ მი-...ა განვითარების ისეთ დონეს, ...ა შეუძლია ეპოქაზე დააყენოს ...ი პლანეტის არსებობაც კი, ...ოვნებას დაეკისრა ორმაგი მი-... — ადამიანთა ზნეობრივი გა-...ლობილებისა და ხალხთა ...ის ურთიერთგაგების, დაახ-...ებისა და მეგობრობის მისია.

...ეზენა ორიგინალური აზრი ...ვატყვი, რომ მეგობრობისად-...სწრაფვა, მოყვასის სიყვარუ-...ი, სიკეთის გაცემის მოთხოვნი-...ა ქართველი კაცის შინაგანი ...ბა, მისი თანდაყოლილი თვი-...ება, გაჩლილათ ყოველთვის და ...ორიულადაც მრავალგზის შე-...ებული:

...ერასაცა გასცემ შენია; რაც ...დაკარგულია"...

...ენ მოყვარესა არ ეძებს, იგი ...ისა მტერია"..

...ოდი წინაპრის ეს სიტყვები ...ტმოტივად გასდევდა ქართვე-...აცის ცხოვრებასა და შემოქ-...ებას, და თუ მას ღირსშესა-...ნავი რამ შეუქმნია, ყოველი-...ამ რწმენით.

...ღეს, თანამედროვე ქართული ...ოთა ხელოვნება, რესპუბლი-...ასაბჭო მეურნეობისა თუ ...ტურის სხვა დარგებთან ერ-...ულ აღმავლობას განიცდის, მა-...აქვს ისეთი მიღწევები, რო-...თა რეზონანსი დიდი ხანია ...ცდა რესპუბლიკის ფარგლებს ...ღირსეული წვლილი შეაქვს ...ალეროვანსი საბჭოთა ხალხის ...ოვნების განვითარებაში.

...ოთუ ისე დიდი ხნის წინათ ...საქართველოს კომუნისტური ...ტიისა და საბჭოთა ხელისუფ-...ების დამყარების 60 წლის თა-...საიუბილეო დღეს, ჩვენი რეს-...ლიკის პირველმა სტუმარმა— ...ონდ ილიას ძე ბრეჟნევმა გაამდიდრა ჩვენი დედაქალაქის კოლორიტი. დამკვიდრდა ყოველწლიურად სახალხო დღესასწაული „თბილისობა". ორჯერ გამართულმა ამ ზეიმმა უკვე გვიჩვენა, რაოდენ გულწრფელი და ჭეშმარიტად სახალხოა ეს დღესასწაული და ბუნებრივად იგი მთელი რესპუბლიკის შრომითი გამარჯვებების სადღესასწაულო გამოხატულებადაც იქცა.

ამ ზეიმის წარმატებით ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს მხატვრებსაც. ისინი ქმნიან თბილისის თემაზე ნაწარმოებებს — ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს, აწყობენ გამოფენებს. არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ შევიჭიროთ ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც შეიმჩნევა ჩვენს მუშაობაში და რაც ზოგჯერ ჩრდილს აყენებს საერთო წარმატებებს, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ-ესთეტიკური კონტროლის მოდუნებაზე ზოგიერთი მხატვრული ობიექტის, ძეგლთა დადგმის თუ ქალაქის გაფორმებითი სამუშაოების ჩატარებისას. ჯერ კიდევ გვხვდება საკუთარი ინიციატივის მცდელობის სავალალო შედეგები, ქალაქობასთან დაკავშირებული ნაწარმოებები იქმნება შემოვლითი გზებით, კომპეტენტური მხატვრული ინსტანციების უგულებელყოფით. ცხადია, ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ქართველ მხატვართა და ძეგლდადგეთა დიდ ავტორიტეტზე და ჩრდილს აყენებს მათ.

მომავალში ჩვენი მიზანია უფრო მკაცრად, უფრო რაციონალურად წარვმართოთ ჩვენი მუშაობა, რათა შეძლებისდაგვარად გამოვრიცხოთ ეგრეთწოდებული მხატვრული „სიურპრიზები". საჭიროა ამაღლდეს კონტროლი სამხატვრო-საწარმოო კომბინატებში შესრულებული სამუშაოებისადმი; ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას საწარმოო-სამხატვრო კომბინატებში, რათა ნაწილობრივ მაინც ამოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომელნიც სახელმწიფო დაკვეთების შესრულებას ახლავს ხოლმე. შესრულების ვადების გაჭიანურება, მასალის გადახარჯვა ქარხნების, კომბინატების არასაგვმო დატვირთვის გამო. მიღებულია გაცილებით მეტი სამუშაო, ვიდრე მათი შესრულების შესაძლებლობა აქვთ.

სულ მალე მთელი ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების, გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიება იქნება საქართველოს სამხედრო გზის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო ძეგლის დადგმა, რომლებიც უკვდავყოფენ დიდი რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივ მეგობრობას. შეიქმნება თერგდალეულთა მემორიალი, დაიდგმება პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეთა თუ მაღალპატრიოტულ თემებზე შექმნილი ძეგლები, რითაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება საქართველოს სამხედრო გზის ისტორიული მნიშვნელობა. ქართველი ერის კულტურული და სულიერი პროგრესისათვის ამ გზამ ხომ იგივე როლი შეასრულა, როგორც თავის დროზე პეტრე პირველის მიერ ევროპაში გახსნილმა სარკმელმა.

ამ სამუშაოებში ჩაბმული არიან ჩვენი რესპუბლიკის მოწონაგი მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები. და ექნი არ არის, რომ ჩვენ ბევრი მათგანის ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვების მოწმენი გავხდებით.

ასევე აღინიშნება უცხოელთა ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლების ფაქტი — დედაქალაქის ბრძოლასთან დაკავშირებული. თბილისის განთავისუფლებაში ხომ მაშინდელი საქართველოს ყოველი კუთხის მკვიდრი, ყველა ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მხატვართა კავშირმა დიდი ხანია შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამ თემაზე კონკურსის მოწყობას, რათა გამოვლინდეს საუკეთესო პროექტი და ძეგლი დაედგას იმ პიროვნების და ისტორიულ მოვლენას, უდიდესი როლი რომ შეასრულა ჩვენი სამშობლოს უკვდავების, მისი სახელის ამაღლებისა და განდიდებისათვის.

დღეს საქართველოში არის შემოქმედებითი ძალა, რომელიც მშობლიური პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერით სინამდვილედ აქცევს ჩვენი ხალხის სურვილს და შუქი დაადგას დიდი ილიას ოცნებას — დაედგას ძეგლები იმ ადამიანებს, რომელთა არდაფასება „მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ერს".

თანაც სასიხარულოა, რომ დღესდღეობით შემოქმედებითი ძალები მარტო დედაქალაქში კი არა, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონშიც მოღონიერდა. თუ აქამდე ჩვეულებრივ მონუმენტურ პროპაგანდას პერიფერიაში დედაქალაქიდან ჩასული ხელოვანი ეწეოდა, რაზეც ალბაც, არც შემდგომ ვიტყვით უარს, გაჩნდა შესაძლებლობა, როცა დედაქალაქში არქიტექტურული კომპლექსის შექმნაში მონაწილეობისათვის ვიწვევთ ნიჭიერ, საინტერესო შემოქმედთ, რომელიც მოღვაწეობენ აფხაზეთში, აჭარაში, ოსეთში, ქუთაისში და ა. შ.

ყოველივეს, რაც შექმნილია და რაც მომავალში შეიქმნება ქართველ ხელოვანთა მიერ, მთის მხატვრულ ღირსებებს ობიექტურად დრო, მომავალი წარმოაჩენს. **ხელოვნებაში დროის ფენომენი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი და ცხოვრებისეული აზრებისა და შეხედულებების, ნათელი და პროგრესული იდეების ობიექტური, პროფესიული ძიება და დამკვიდრება.** ჩვენ უმნიშვნელოვანესი მისია გვეკისრება. ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მაღალმხატვრული შემოქმედების მეშვეობით ვაზიაროთ ამ იდეებს ადამიანები, ხელი შევუწყოთ ხალხთა ესთეტიკურ ზრდასა და სრულყოფას, ავამაღლოთ ჩვენი ახალგაზრდობის, მომავალ თაობათა ზნეობრივი და პოლიტიკური დონე. ქართველ მხატვრებს ხელეწიფებათ ეს დიდი მისია.

ე. ამაშუკელი,
საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

სწავლის დაწყების წინ

ეს ტრადიციაა: ყოველთვის მშრომელთა პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური, სახლი აწყობს ხოლმე პროპაგანდისტთა გადამზადების ორკვირიან ზონალურ კურსებს.

აი რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგის მოადგილემ ლ. დალაქიშვილმა:

— პროპაგანდისტების გადამზადება მიმდინარეობს რვა ზონაში, რომლებმაც პრაქტიკულად მთელი რესპუბლიკა მოიცვეს — თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, თელავის, გორის და ცხაკაიას ზონებში. აქ მეცადინეობას ატარებენ თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები, უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. მსმენელთა მთელი სწავლება, სემინარული მეცადინეობა წარმოებს „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების მიხედვით, რომელმაც განავითარა და დააკონკრეტა ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის მეცადინეობის ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლებისათვის გამიზნული დებულებანი.

ბუნებრივია, რომ კურსებზე სწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ პროპაგანდისტთა გადამზადებას, რომლებიც უზელმძღვანელებენ პარტიული სწავლების სისტემაში პირველად შექმნილ მეცნიერული კომუნიზმის სკოლებს. ამ სკოლების დანიშნულებაა კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების აქტუალური პრობლემების შესწავლა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროპაგანდისტი, რომელიც მეცადინეობას ჩაუტარებს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე კომუნისტებს, იყოს ყოველმხრივ მომზადებული, შეეძლოს მომდინარე მოვლენების ღრმა გაანალიზება, უნარი ჰქონდეს სწორი პოლიტიკური შეფასება მისცეს მათ.

პროპაგანდისტთა წინაშე გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები. კურსების მსმენელები ხვდებიან პარტიის ვეტერანებს, ომისა და შრომის გმირებს. ისინი ეწევიან საწარმოებსა და მეურნეობებს, იდეოლოგიურ დაწესებულებებს, ერთმანეთს გაუზიარებენ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას.

პროფესიის სიყვარული

გაჟა ვახტანგაშვილმა ათი კლასი რომ დამთავრა, ერთხანს ერედვის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა. მაგრამ სწავლის განგრძობის სურვილი ერთ წუთსაც არ განელებია.

1973 წელს ოცნება სინამდვილედ გადაექცა ვაჟას — ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და წარმატებით დამთავრა.

ერთხანს სისხლის სამართლის სამმართველოში განყოფილებაში მუშაობდა ვაჟა, სადაც მისი პირველი მასწავლებელი და დამრიგებელი სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების უფროსი კონსტანტინე კალანდაძე იყო. სწორედ ამ გამოცდილი მუშაკის ხელმძღვანელობით ეზიარა ვაჟა მილიციის რთულ და პასუხსაგებ საქმიანობას.

ერთი წლის შემდეგ ვაჟა ვახტანგაშვილი ამავე სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში გადაიყვანეს გამოძიებლად. ეს მისი უშუალო პროფესიაა და აკი გამოჩნდა კიდეც ახალგაზრდა გამომძიებლის ნიჭი და ალღო.

— გამომძიებლის ნიჭსა და ალღოზე, პირველყოვლისა, მეტყველებს მის მიერ „ამოძიებული საქმის აკვარგიანობა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო სასამართლო მას ხელახალი ძიებისათვის არ დაუბრუნებს. ეს ხდება მაშინ, როცა გამოძიებაში მოყვანილი ფაქტები დამაჯერებლად არის დასაბუთებული.

— და რაც მთავარია, — ჩაერია ჩვენს საუბარში სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი გ. შალამბერიძე, — გამომძიებელს უნდა ჰქონდეს უდიდესი მოთმინების უნარი, ტაქტი და ადამიანებთან დაახლოების რაღაც მაგიური ძალა. ყველა ამ თვისებით ჩვენი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი ვ. ვახტანგაშვილი, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, უხვად არის დაჯილდოებული.

სასიამოვნოა, როცა ადამიანზე კარგს ამბობენ, მით უმეტეს, მასზე, რომელიც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა — ვაჟას ახლახან შეუსრულდა 27 წელი. ჯერ კიდევ ყველაფერი წინა აქვს.

ახლახან ერთი საინტერესო საქმის გამოძიება დაამთავრა ახალგაზრდა გამომძიებელმა. იგი არასრულწლოვანი სოლთან ხაჩიროვის დანაშაულს შეეხებოდა.

გამომძიებელი ღრმად ჩასწვდა როგორც დანაშაულის არსს, ისე თვით მოზარდის ბუნებას, ზედმიწევნით გააანალიზა დანაშაულის ჩადენის მიზეზები და სახალხო სასამართლომ ამჯერადაც გამოძიებაზე დაყრდნობით გამოიტანა განაჩენი.

სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობს ვ. ვახტანგაშვილი. იგი სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრია და ერთ-ერთ მოწონაგედ ითვლება პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში.

რ. ფერაძე,
მილიციის კაპიტანი.

...ქვეისქვეი ცრემლი

...ანიერი დარბაზის თავით ბოლომდე გაჭიმულ სუფრას სამნიღა უსხდნენ. მასპინძელი — ლამაზი, ტანადი ქალი, რომელიც ამ ოჯახის დიასახლისიც იყო და ძმასახლისიც, უკანასკნელ სტუმრებს აცილებდა. სტუმრები, აგერ-აგერ ერმანეთს შებერებული და ერთმანეთით შებეზრებული ცოლ-ქმარი, ამ სახლში შინაურებად თვლიდნენ თავს და ბოლომდე, ალბათ, ამიტომაც შემორჩენენ. ქალი ჩვენი დიასახლისის ბიძაშვილი და სიყრმის შეგობარი გახლდათ, მეზობელ სოფელში გათხოვილი, მის ქმარს კი კარგად არც იცნობდა მასპინძელი, ათასში ერთხელ შემთხვევით თუ შეხვედრია ცოლთან ერთად ქუჩაში.

ქორწილის მეორე დღე იყო და მასპინძელს დაღლილობა და მოწყენილობა ეტყობოდა, მოწყენის მიზეზი კი დიდი და ფრიად საპატიო ჰქონდა: ოჯახიდან გაისტუმრა უმამოდ, იბლობაში გამოზრდილი ერთადერთი ქალიშვილი, ქვრივ-ოხრის ერთადერთი იმედი და ნუგეში.

ძალიან კი ცდილობდა დიასახლისი სტუმრებს არაფერი შეემჩნიათ, მაგრამ ბუნებით წრფელსა და უეშმაკოს ეს ბოლომდე ვერ ... ...

ფასდაუდებელი ღვაწლი

დღეს 80 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოქიმიკოსთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენლის, შესანიშნავი მკვლევარის, უბადლო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ასათიანის დაბადებიდან.

ვლადიმერ ასათიანმა 1918 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1923 წელს — ქ. პერუჯის (იტალია) სამეფო უმაღლესი ექსპერიმენტული აგროქიმიის ინსტიტუტი. შემდეგ მან ბიოქიმიასა და ორგანულ ქიმიაში კვალიფიკაცია აიმაღლა შარლოტენბურგის (გერმანია) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, პარიზში და სტრასბურგის უნივერსიტეტებში; უცხოეთში ყოფნის პერიოდში ვ. ასათიანი კითხულობდა ლექციებს მადრიდის, პარიზის, ბერლინის უნივერსიტეტებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი საფრანგეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრად აირჩიეს.

1924 წლის იანვარში პეტრე მელიქიშვილის წარდგინებით ვ. ასათიანი დაუსწრებლად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტად, თავისი მოვალეობის შესრულებას კი იგი შეუდგა 1925 წლის დეკემბერში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთანავე ვ. ასათიანი ორგანული და ფიზიოლოგიური ქათედრების დოცენტი, პროფესორი, ხოლო შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე იყო.

ვლადიმერ ასათიანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის მთელი რიგი დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. აღსანიშნავია მისი როლი საქართველოში ჩაის მრეწველობის დაფუძნების საქმეში. იგი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

მრავალმხრივია ვლადიმერ ასათიანის მეცნიერული მოღვაწეობა. იგი ითვლება საბჭოთა კავშირში მთის კლიმატის ბიოქიმიისა და ტუბერკულოზის პათოქიმიის დამაარსებლად. მის ლაბორატორიაში დადგინდა მთის ჰავაში სხვადასხვა საკურალაწმალო საშუალებათა მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმები. ამ დარგში მიღებულ შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ეხიჭება მთის პირობებში ჯანმრთელი ან ავადმყოფი ორგანიზმის ფუნქციონირების და სპორტსმენების წვრთნისა და რეკონსალური კვების რეჟიმის შემუშავებაში. მთის პირობებში საკურთალო საშუალებათა მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმების შესწავლას საფუძველზე მან შეიმუშავა სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენების რეკომენდაციები.

ვ. ასათიანის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი მამრთუელებაა ანალიზური ბიოქიმია. ამ დარგში მან აღმოაჩინა სისხლის ბოგინრიოს სხვადასხვა ფორმა და დაამუშავა მათი განსაზღვრის მეთოდები, აგრეთვე სისხლის ნაშთ-რედუქციის განსაზღვრის მეთოდი, ხახშირწყლების, ქრომატოგრაფიის ფერადი რეაქციები და სხვ. უმნიშვნელოვანესი მეცნიერული კვლევა აწარმოვა ვ. ასათიანმა ადაპტიანის ორგანიზმში ჰორმონებისა და ფერმენტების როლის დასადგენად, მთის კლიმატის პირობებში ფიზიკური დატვირთვისა და სხვადასხვა პათოლოგიის დროს ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების, მინერალური მარილების ცვლის თავისებურებათა შესასწავლად.

ანალიზურ ბიოქიმიას მკვლევარმა მრავალი მონოგრაფია და სახელმძღვანელო მიუძღვნა, რომლებმაც მას დიდი აღიარება მოუპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბიოქიმიური ანალიზი", „ანალიზის ფერმენტული მეთოდები" (ამ ნაშრომს მიხიეშეული აქვს პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია). მონოგრაფია „ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზის შესახებ" 1960 წელს გამოიცა რუმინეთში.

აღსანიშნავია ვ. ასათიანის შრომები შედარებითი ბიოქიმიის დარგში, მათ შორის მონოგრაფია „ადამიანის და მაიმუნის შედარებითი ბიოქიმია", რომელიც 1961 წელს გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კათედრაზე მუშაობასთან ერთად ვ. ასათიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა მისი დაარსებიდან, 1932 წლიდან, ჯერ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1963 წლიდან გარდაცვალებამდე — ინსტიტუტის დირექტორად. მან დიდი წვლილი შეტანა ჩვენს რესპუბლიკაში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიის განვითარების, დარგში, ჩამოაყალიბა ბიოქიმიური ფარმაკოლოგია და სამედიცინო ფერმენტოლოგია.

სახელმოხვეჭილი მკვლევარი 160-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის 35 მონოგრაფიის ავტორია.

იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 80 საკანდიდატო და საკანდიდატო დისერტაციათა ავტორი. ეს ეხებოდა ... ...